2-15858/19
16-09-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, დადგენილი განხილვის ვადის გაგრძელებას შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებზე:

– სავალდებულო დასკვნის წარმომდგენი კომიტეტის მომართვის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: გოგა გულორდავას, ირაკლი (დაჩი) ბერაიას და რატი იონათამიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/378/9; 19.06.2019) განხილვის ვადის 30 დღით გაგრძელებას.

– სავალდებულო დასკვნის წარმომდგენი კომიტეტის მომართვის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: მამუკა მდინარაძის, ანრი ოხანაშვილის, დიმიტრი ცქიტიშვილის, გიორგი ვოლსკის, შოთა ხაბარელის, ბექა ოდიშარიას, ლევან კობიაშვილის, სოფიო კილაძის, მარიამ ჯაშის და მიხეილ ყაველაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტებზე: “საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში” ცვლილების შეტანის შესახებ“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/376/9; 19.06.2019) განხილვის ვადის 30 დღით გაგრძელებას.

– ინიციატორის მომართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე „ენერგო ეტიკეტირების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/345; 08.05.2019) განხილვის ვადის 2 თვით გაგრძელებას, რაც დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის მიერ „ენერგოეფექტურობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის შემდგომ აღნიშნული საკანონმდებლო წინადადების განხილვასთან.

– საქართველოს პარლამენტის წევრების: მერაბ ქვარაიას, პაატა მხეიძის, გოგა გულორდავას, კობა ლურსმანაშვილის, ზაქარია ქუცნაშვილის, რატი იონათამიშვილის, გიორგი მოსიძის, გიორგი კოპაძის, დიმიტრი მხეიძის და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო

ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „სოციალური მეწარმეობის შესახებ“, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/236; 01.11.2018) განხილვის ვადის 1 თვით გაგრძელებას, იმის გათვალისწინებით, რომ განსაზღვრულ ვადაში, კომიტეტების მიერ ვერ ხერხდება წარმოდგენილი კანონის პროექტების განხილვა.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
რომან კაკულია